

ქოველი
ბლიროთეკა

ნეშადურნი



№ 38

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 38

წლიურ ხელის მომწერთ სააღდგომოდ მიუვათ:

- ყველა გამოსული № №-ბი წმინდელი და წარსული წლისა.
- ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი (ლიტოგრაფიულად ბრისტოლის ქალაქზე) დაბეჭდილი
- „ნიშადურის“ კრებული (პირველი და მეორე წიგნი). | წლიური ფასი 5 მან.

შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 12 აპრილს.

ვ ნ ე ბ ი ს კ ვ ი ა



იესო ქრისტეს დაკრძალვა — კაულბახის ნახტი.

პოეტის მკვლევარი

შიდ თვეზე მეტია მას შემდეგ, რაც ქართველ ერს ზარდამცემი ამბავი ეუწყა: „მოკლეს ილია“! გავიდა თითქმის შვიდნახევარი თვე იმ დღიდან, როცა დაობლებულმა საქართველომ მიაბარა მთაწმინდას დიდის ზემ-ზარით და გლოვით თავის პირველი შვილი, შესანიშნავი მოამაგე და მოქირნახულე ჩვენის ქვეყნის და ერისა.

ვინ იყვნენ ილიას მკვლევლები? ვინ მოკლა დიდებული პოეტი? ვინ, რომელმა მხეცმა, რომელმა შმაგმა გარეწარმა აღმართა მახვილი ქართველი ერის ქება-დიდების წინააღმდეგ და მოაშორა წუთი სოფელს 70 წლის მოხუცი კაცი-ადამიანი? ვინ იყო ეს მეოცე საუკუნის ქართველი ჰეროსტრატე?

აი ის მწვავე კითხვა, რომელიც მაშინვე ჩაესახა გულსა და სულში ქართველ ხალხსა და საზოგადოებას და რომელიც დღემდე არ ასვენებს მის სინიდისს. ზღვსავით აღელდა და აბობოქრდა ეროვნული გრძობა: ეს მკვლელობა იმდენადვე ზარდამცემი იყო, რადენადაც უკურნავი...

მკვლევლები კი არსად სჩანდნენ.. ჯოჯოხეთის მოციქულნი-კაენები მიიმაღნენ, უჩინმაჩინის ქუდი ჩამოიფრატუნეს. შეიქნა ორ გვარი სასტიკი გამოძიება. მთელს ქვეყანას სწყუროდა შეეტყო, თუ ვინ მოსცხო მას მარადის წარუშლელი სამარცხინო ჩირქი, მაგრამ... გაგვაჩუმეს!—„დაწყნარდით დამშვიდდით, მოითმინეთ, თავის დროზე ყველაფერი გაიგება და გამოირკვევაო“, გვამვიდებდნენ გაზეთები.—„ნუ გვიშლით ხელს, მოგვიცადეთ, ყველაფერს ავხსნიო და გამოვაშკარავებთ!— გაიძახოდნენ მთავრობის გამომძიებელნი, და სდუმდა დღემდე მრავალ მომთმენი ქართველი ერი, სდუმდა და გულში იკლავდა საშინელს შურს და ბოლმას. სდუმდა, მაგრამ იმავე დროს მისი ფიქრი და გონება გარს უვლიდა საზიზღარ მკვლევებს.

ქართველი ერი დღედაღამე ცხადლივ თუ სიზმრად ეკითხებოდა თავის თავს: ნეტა ვინ უნდა იყვნენ ეს ნაძირალნიო—ფსკერის ჯოჯონი და მახინჯებო?!

მართლაც, ვის უნდა მოეკლა ერის დიდება, სახელოვანი ადამიანი? უბრალო ქურდებს, ყაჩაღავაზაკებს? არა! ჩვენებური ავაზაკები არ ჰკლავენ კაცებს, მეტადრე მოხუცებულთ და დედაკაცებს; იმათ გულში კიდევ საკმაოდ ჰფეთქს კაცობრიული ნაპერწყალი. ყაჩაღ-ავაზაკებს ჰშიანთ და ამიტომ თუ ძარცვავენ მგზავრთ. კაცს კი იშვიათად ჰკლავენ!

ავაზაკები ჰკლავენ მარტო პირად მტრებს და იარაღით მოსეულთ... ქართველი ავაზაკები არ ახახირებენ თოფის კონდახებით მოხუცებულ ქალებს, როგორც ეს დამართეს ილიას მკვლევლებმა მის მოხუცებულ მეუღლეს.

არა, ილიას მკვლევლები არ არიან უბრალო ავაზაკები!..

მაშ ვინ არიან ილიას მკვლევლები? ეგრედ წოდებული „ხულიგანები“? შეუძლებელია. ილია არ იყო რომელიმე მებრძოლ პარტიის წევრი და ბელადი; ის არ იღებდა მონაწილეობას პრაზაგანდა-ავიტაციებში, იგი არ იღვა რევოლიუციის ქარტეხილში წითელის დროშით ხელში; მან სანაქებოთ აასრულა თავისი დიადი როლი: 50 წლის განმავლობაში იგი დაულალავად და თავდადებით ემსაურებოდა თავის ბედკრულ სამშობლოს და ქართველების გათვითცნობიერებას. ახლა კი, 70 წლის მცხოვანი და ღვაწლ-მოსილი, იგი სამართლიანად ეძებდა მყუდრო ცხოვრებას თავის მყუდროვე სავანეში, მაგრამ ველურების ტყვიამ ბოლო მოუღო ქვეყნისათვის გატანჯულს და მისუსტებულ გულის ძეგრას.

არა, ილიას არ მოკლავდნენ „ხულიგანები“!..

იქნებ პირადი მტრები ყავდა ილიას? არც ესაა მართალი. ილიას არასოდეს არ ყოლია პირადი მტრები გარდა იდეური მტრების—მოწინააღმდეგეთა. ხოლო ილიას მტრები და მკვლევლები უსიკვდილოდ უნდა ყოფილიყვნენ და არიან კიდევ საქართველოს ორგულები და მტრები!.. იქნებ რომელიმე პოლ ტიკური პარტია მტრობდა ილიას? შესაძლებელია, მაგრამ რადენადაც ვიცით პარტიები, როგორც მაგალითად ქართველი ესერები, ანარქისტები და ესფერები, ნაციონალისტები და ავტონომისტები განუსაზღვრელ პატივსა სცემდნენ მსცოვან მგოსანს და ქვეყნის პროგრესიულ მუშაკს მოქირნახულეს, რაიც აშკარად დამტკიცდა საერთო გლოვა-ზარის დროსა და იმ დრომდე საქართველოში არ ნახული, დიდებული პოეტის დაკრძალვის დროს...

მაშ ვინ არიან ილიას მკვლევლები? სად რომელ პიროვნებაში, ან რომელ პარტიაში იმალება კაენის სახე?!

მრავალ ტანჯულ საქართველოს კიდევ ამ 15 წლის წინათ მოვევლინა ერთი საშინელი სენი: აღვირ ახსნილ და ზნე გახრწნილ არსებათა ბრბო, რომელიც სოციალიზმის ნიღაბს ატარებს, მაგრამ ფიქრობს მხოლოდ თავის კუქსა და „არსების პურზე“. ამ უგუნურთა და ფანატიკოსთა ბრბომ, თავიანთ დემაგოგ-ბელოდების შთაგონებით იმ თავითვე უარყო ქართველი ეროვნება, დაგმო ქართული ენა და

წარსული, დაგმო ქართველი ერი და მისი თავისუფალი მართვა-გამგეობა და გადიქცა სხვა ერის სოციალ-შოვინისტთა ლაქიებათ და ცენტრალიზმის სახელით ახალ მოწოდების მლაღადებლათ.

ამ ბრბომ თავი აღიარა „მუშათა პარტიათ“, გააღო ფართოთ თავისი ს მიკიტნოს კარები, დაატრიალა არღანი და შერეკა თავის დუქანში პარტიის წევრებათ კაცის მკვ ელები, ჯიბგირები, მძარცველები, ქუჩის ბიჭები და სხვა ყოველ გვარი ნაძირალები. ამ უბადრუქმა ბრბომ თავის უნამუსო დამქაშებით დაიპყრო, დაბეგრა და დააფრთხო ისედაც დამფრთხალი ქართველი ხალხი, დააარსა ხოფლად და ქალაქათ კომიტეტები, გაავსო ქვეყანა თავგედ და უმეცარ აგენტებით და პარტიის სახელით ჩაიდინა საქართველოში აურაცხველი საზიზღარი ბოროტებანი, რომელთა აღწერას არ ეყოფა მთელი მრავალ ფურცლიანი წიგნები და რომლებიც აშკარადება თან და თან და დღითი დღე.

აი ამ ქართველი ეროვნების უარ მყოფელმა ბრბომ იმ თაკითვე შეიძულა საქართველოს მოამაგენი, წრფელი მოღვაწენი, უანგარო მუშაკნი და მათ შორის ყველაზე მეტად და უდიერად — ილია ქავჭავაძე, რომელსაც გაუმართა ვაზეთ „კვალსა“ და „მოგზაურში“ მწვავე ყალბაბანდური პოლემიკა და რომლის შესახებ მოჰფინა ხალხში საზიზღარი ქორები და ცილის წამებანი.

ამ დაბრმავებულმა ბრბომ დასწვა მახათას ველზე ილიას უკვდავი ნაწერები; ამ ბრბომ დატია და დაგლიჯა ხალხის წინაშე ილიას სურათი; ამ ბრბომ შეაძულა ქართველ გლეხობას მისთვის თავ დადებული ადამიანი, მის ჰირ-ვარამის აღმნუსხველი მგოსანი, მისი მოამაგე და გულ-შემმატიკივარი... და სწორედ აი აქ იბადება უნებლიე კითხვა: ეს წარმოუდგენელი ხაზიზღრობა ხომ არ ჩაიდინეს ამ ბრბოს უვიც აგენტებმა?! იმათ ხომ არ მოკლეს ილია ქავჭავაძე? ეს საშინელი ეჭვი, ეს ზარ დამცემი აზრი ცხოვლად წარმოუდგა ყველა ქართველს განსაკუთრებით „ისრის“ № 44 წაკითხვის შემდეგ.

— „ჩვენ მოვკალით ილია ქავჭავაძე კომიტეტის განკარგულებითო“, ეუბნება ბოქაულს გიორგი ხიზანაშვილი; — „ილია მოკლეს, ინაშვილმა, ზერბიჭაშვილმა, ფშავლიშვილმა და ერთმა იმერელმაო,“ ამბობს იგივე.

ნეტავ ვინაა ეს „კომიტეტი“, რომლის განკარგულებით მოქმედობდნენ ეს ცოფიანი ნადირები? ნეტა რომელი პარტიის კომიტეტი მოქმედობდა დუშეთ-საგურამოს რაიონში?!

მკვლევებს ისიც კი უკვირდათ, თურმე, რომ მათ წყველა-კრულვით იხსენიებდა ქართველი ერი

და ჟურნალ-გაზეთობა; მათ ეგონათ, რომ ილიას სიკვდილით სასახელო საქმე ჩაიდინეს, ისინი ქვეყანა მტარვალისაგან, ნამდვილად განსჯის საუკუნოთ დაგმო ქართველმა ხალხმა.

ადვილი მისახვედრია თუ ვინ ყოფილან ილიას მკველენი. ესენი იყვნენ ბრმა იარაღნი იმ ნამდვილ მკვლელთა, რომელნიც თვალთმაქცურად პარტიის და კომიტეტის ფარდას ეფარებიან.

ახლა ვიკითხოთ, ნეტა ვინაა ეს სამშობლოს უარმყოფელნი, ქვეყნის ორგულნი და ქართველ მოღვაწეთა ჩამქოლაფი, მკვლელნი, ხალხის იარა და მძარცველი ბრბო? პასუხი არაა საჭირო, ყველამ ვიცით ვინც ბრძანდებიან ეს რაინდები...

ვიკითხოთ ახლა, ვინ არ მიიღო მონაწილეობა ილიას დასაფლავებაზე? ვისი კომიტეტი გადგა განზე? ვინ აუკრძალა გლეხებს და მუშებს ილიას დაკრძალვაზე დასწრება? ვინ არა სცა პატივი ფეხზე წამოდგომით ილიას ხსოვნას და არ მოისურვა სამძიმრის დეპეშის გამოგზავნა პეტერბურგიდან? ვინ აღიარა ვაზეთში უბრალო „ნაფოტათ“ ილია ქავჭავაძე? ვინ გამოექომაგა ილიას მკვლევებს? რატომ?! რისთვის?!...

კმარა!.. აქ ყველაფერი აშკარაა! აქ ყველაფერი ნათლად სჩანს, ყველაფერი ადვილად გასაგებია! (ჩვენ აქ ახალს არაფერს ვამბობთ. ყოველივე ეს უკვე გამოირკვა ვაზეთებიდან).

მომწიფდა ჟამი რომ ნიღაბი ავგლიჯოთ ხალხის ცრუ ბელადებს. დროა გაახილოს თვალი ჩვენმა ხალხმა და ახალგაზდობამ! დროა გადაიძროს ლაჩრობის ჩადრი ჩვენმა ინტელიგენციამ და ზოგიერთმა ვაზეთებმაც! დროა აღვიჭურვოთ მოქალაქობრივის გამბედაობით! დროა ვიცნოთ მგლები ბატონის უმანკო ქურქში გახვეულნი და შევაჩეროთ მათი წრეს გადასული თარეში და ვერაგობა-ბოროტებანი!

არ გვინდა სისხლი, არ გვსურს შურის ძიება! საჭიროა ვავიგოთ მხოლოდ სინამდვილე. **საჭიროა მხოლოდ გაიკრას სამარცხვინო ბოძზე ილიას მკვლელნი და საქართველოს მოლაღატენი. საჭიროა ისტორი მ და შთამომავლობამ** ამიერიდან სამუდამოდ გაიცნოს ქართველი ერის და ქვეყნის მტერ-მოყვარეთა სულის სწრაფვა და განზრახვანი. აი ეს არის საჭირო, სხვა — არაფერი!


ქართველი.



ვნების კვირა

ზღაპარი მისი ბაღაღაღი

ეროვნული
ნიშაღური




ჯვარცმა—სვედომის ნახატი

ნაზარეველი ყრმა.

კოდვილ ქვეყანას მოველინა ნაზარეთიდგან
 მადლი ზეცისა, ხორცშესხმული ყრმისა სახითა.
 ყრმა, აღჭურვილი ხალხისადმი სიყვარულითა,
 ხალხის მტარვალებს მხნედ შეება სამკვიდრო ბრძო-
 ლაში;
 დაჰგმო ურცხოზა, ძალმომრეობა და ტანჯულ ხალხში
 ჰქადაგებდა აზრს ერთობისა, სიყვარულისას...
 მაგრამ ხალხის ბრბომ ვერ შეიგნო მცნება ჰაბუკის
 და მისი მცნების ყვაილები ფეხქვეშ გასთელა!
 ყრმა ღვთაებრივი ხელში მისცა ბილწ ჯალათებსა
 და მას ჯვარზედაც დასცინოდა ბოროტთა ენა.
 ყრმა ბრბოს უგუნურს მაშინაც კი არ აყვედრიდა
 განუსჯელობას და ვერაგულს გამცემლობასა:
 მას მტკიცედ სწამდა, დადგებოდა დრო სანეტარო
 და იგივე ბრბო თაყვანს სცემდა ღვთიურ მცნებასა.

ა. წითელმთიელი.

ყარაჩ-ყურუჩის სამეფო
 ძველად ყოფილა ქებული;
 მისი სიმდიდრე-სიუხვით
 ცა იყო განცვიფრებული.
 მის ბროლის კოშკი-პალატნი
 ვარსკვლავებს ებჯინებოდნენ,
 შარბათის შადრევანები
 განუწყვეტლად იქ სცემდნენ.
 ბუმბერაზ-მთები ოქროს გულს
 უშლიდნენ ყარაჩელებსა;
 იქ ჩალის ფასიც არ ჰქონდა
 ძვირფას თვალ-მარგალიტებსა.
 ყარაჩ-ყურუჩის სიტურფე
 თვით ედემს მოგაგონებდა,
 იქაურ კენესა ბულბულის
 ქვა გულსაც ააძგერებდა.
 ამბობენ, პირველს სიყვარულს
 აკვანი ყარაჩს ჰქონდაო,
 იმ დღიდან ყარაჩელს ქალებს
 ის გულში ჩაებეჭდაო...
 ძილს არ აძლევდა ხარბს მტერებს
 ყარაჩის ბედნიერება,
 მაგრამ ვერაგინ შეიძლო
 მის ძლევა-განადგურება.
 ყარაჩებს გმირი ჰყოლიათ
 ბატრახან ძლევა-მოსილი;
 მის მსგავსი დედის მუცლიდან
 ჯერ არ ყოფილა შობილი.
 შემზარავ მესხად მისი ხმა
 ბრძოლისა ველზე ისმოდა,
 ამის გამგონე მტრის ჯარი
 მიწაზედ ეფინებოდა.
 მის მოელვარე თვალებსა
 თვით დევიც დაუფრთხებოდა,
 განმზადებული საომრად
 ცახცახით უკუ დგებოდა.
 რომ ისკუებდა ბატრახან,
 ცხრა მთას იქითაც ხტებოდა,
 როგორც არწივი, მყინვარსა
 ერთს წამს თავს მოველებოდა.
 თოფ-იარაღი იმ დროში
 არ იყო მოგონილიო,
 და ყოველ კაცის სვე-ბედი
 მკლავს ჰქონდა მინდობილიო.
 ასე ყვაოდა ყარაჩი
 ქველობით ყველგან ქებული;
 თვის ბატრახანის სახელით,
 გმირობით განდიდებულიო.



C. D.

იესო ქრისტეს საფლავთან—ფეშტის ნახატი.

დაღალდა ბოლოს ბატრახან,
ქალარა გამოვრია;
ქირ-გამოვლილს და ნაჯაფსა
ჩვენს გმირს ძილიც მოვრია.

ორასი წელი იძინა,
თვალი არ გაუხელია;
რომ გაეღვიძა, თქვენსა მტერს,
ბატრახანს ელდა სცემია.

ვერ იცნო თავის ყარაჩი,
მტრისაგან აოხრებული,
მის ძველებური დიდება
ულმერთოდ შეგინებული.

შეჰხედა:—ყარაჩის გზებზე
უცხო ეტლები გარბოდნენ,
ვილაცა ქონდრის კაცები
თამამად დაფარფატობდნენ.

გაბრაზდა ჩვენი ბატრახან,
შეჰკივლა, დაიღრიალა
და ძველებურად მტერებსა
თვალები დაუბრიალა,

მაგრამ ეს მხოლოდ სეირად
ეჩვენათ ქონდრის კაცებსა,

აყრიან სიცილს ბატრახანს,
უწვევენ ფართე ყურებსა.
გაწითლდნენ ყარაჩელები
და ჩუმად უთხრეს თვის გმირსა:—
„ბატრახან, გენაცვალეოთ,
გულს რად იხეთქავ ძლიერსა?!“

„ჰხედავ დრო გამოიცვალა,
დღეს ქონდრის კაციც კაცობსო
მისთვის, რომ ახალს იარაღს
ჩვენზე თამამად ხმარობსო!“

„დავიღუპენით, გავფუჭდით,
ხსნა არის მხოლოდ ერთიო:—
ვინც მის ხმარებას გვასწავლის,
ის არის ჩვენი ღმერთიო,

„გულით გვიყვარხარ, ვაფასებთ
შენს ამაგს, მნიშვნელობასო,
მაგრამ ისიც გვწამს, რომ შენ დღეს
ვერ შესძლებ ბელადობასო“...“

უთხრეს და ბატრახან გმირი
ჩასვეს დიდს გალიაშიო,
დიდი მუთაქა დაუდევს
მოსასვენებლად თავშიო.

ილ. პონტელი.

ჩვენნი იმედი.

(ვუძღვნი ყველა ლიდერებს და დემაგოგებს).

მშობლიურ მიწის დაკარგვა, ცხოვრების ყოველ საღსართა მოკლება, გადაგვარება ან მოსპობა ერისა,—ამას გვიქადა ჩვენი ბედი არა ერთხელა და დღესაც აშკარათ ისევ ამას გვემუქრება.

იმან იფაქროს და იუყყმანოს, ვისაც ჰკითხავენ, რა მოგწონს, რა გნებავს, ან რას ირჩევო. ჩვენ ამნაირათ ბედი არ გვეფერება, და ვინ იცის, იქნება ასეც სჯობდეს ჩვენთვისა! ჩვენ ასარჩევი სხვა არა გვაქვს რა, ამის მეტი: ან შეერთება, ან ამოწყვეტა. ასეა სწორეთ. ალბად მობეზრდა ზეცასა ჩვენი უზომო მასხარაობა და უგზო-უკვლო ხეტიალი!

ჩვენ ჯერ ისევ გართულნი ვართ უძლოურ ოცნებაში და გაუთავებელ პარტიულ კამათში, მაგრამ ისტორიული აუცილებლობა. იმედია, ბოლოს მოუღებს ჩვენს თამაშსა და ძალით მიგვრეკავს ერთადერთ საიმედო და საერთო გზაზე.

მე არ ვიცი, როდის მოხდება ესა, ჯერ-ჯერობით კი ჩვენი „ვერობაში ნასწავლები“ თავის უადგილო იუმრობას მაინც არ იშლიან; ესდევები განაგრძობენ „კლასობრივ შეგნების“ შემოტანას, ეს-ფერები ოცნებობენ ჩვენში ბურჟუაზიულ ქველმოქმედების და კოოპერაციების გადმონერგვას, ქუთაისში კი... ქუთაისში ახალ პარტიის შექმნას აპირებენ თურმე, ფრანგულ რადიკალ-სოციალისტების ელფერთ. მეტი უძლოურება აზრისა წარმოუდგენელია!

შეერთება საზოგადოებისა—ეს ძირითადი საჭიროება, ეს უბრალო, კანონიერი და საყოველთაო ნატვრა ჩვენ ლიდერებსა და დემაგოგებს ქქუაში არ უჯრებათ. ამის მიზეზი ათასია და ჩვენ მხოლოთ უმთავრესს დავასახელებთ.

საქმე იმაშია, რო ის წიგნი, რომელშიაც უნდა ეწეროს, თუ როგორ შესდგება ცალკე ადამიანთაგან მათი საზოგადოება, ეს ახალი სახარება ჯერ არსად დაწერილა, ის მხოლოთ ეხლა იწერება ევროპაში, და ამიტომ ჩვენი „ნასწავლები“ მას ვერსად ვერ ჩააბულებულენ და ამ სწავლას ვერსაიდან ვერ გადმოიღებდენ, სხვა რამე კი ჩვენ „ნასწავლებს“ არა თუ არ ძალუძთ, არამედ ეთაკილებათ კიდეცა და ამიტომ რაიმე ვრცელი ეროვნული კონცეპცია შეუძლებელი ხდება, ვინაიდან იგი მოითხოვს საერთო მეცნიერულ შრომით გატაცებასა და არა თაკილსა.

არ დავფარავთ, რო ამ ახირებულ თაკილს თივისი საპატო მიზეზიცა აქვს. ხსენება ეროვნულ

აზრისა და ეროვნულ თავისებურობისა ჩვენ ჯერ სლავიანოფილების პატრიარქალურსა და ყალბ ოცნებას გვაგონებს, მერე ამ დეენტლმენების ბრიყუნათე აეთა, რუსეთის თავად-აზნაურობის რეაქციონულ ნაწილსა და ბოლოს—ყველა თავისუფლების ჯალათსა და ყველა ჩვენ სულთამხუთავს ერთად წარმოგვიდგენს ხოლმე თვალწინ.

ეს მართალია, მაგრამ უსიამოვნო მოგონებით სრულიად აიხსნება და მართლდება მხოლოთ უსიამოვნო გრძობა, აზრი კი—არასოდეს. ჩვენც არ ვენდობით განზრახ—ორიგინალობას, მაგრამ მართლა არსებობს უდიდესი განსხვავება რუს „პომეშიჩკების“ ლალ ოცნენასა და ჩვენს იძულებულ მისწრაფებათა შორის.

შეგვიძლიან დავაპტიკოთ, რომ საჭიროთ ხდება ქართველ საზოგადოების შეერთება ისეთ განსაკუთრებულ პირობებში, რომელნიც მოითხოვენ სწორეთ წმინდა-საზოგადოებრივ კავშირსა და რადგანაც მეცნიერული ნიადაგი ამნაირ შეერთებისა („სოციოლოგია“, ანუ თეორია საზოგადოებისა და სოციალური ტენიკა) ჯერ არ არის გარკვეული არსად, ამიტომ აქ ვისიმე მიბაძვით დიკმაყოფილება შეუძლებელია და ამიტომ ჩვენი ეროვნული თავისებურობა აქ აუცილებელია. ჩვენ გვჭირია ერთსულოვნება და ჩვენ გვაქვს უფლება შევეერთდეთ ისე, როგორც გვეუბნება ჩვენი საკუთარი გონება და სინიღისი.

სულ სხვა მდგომარეობაში იყენენ სლავიანოფილები: ეს პოეტები „იგონებდენ“ წმინდა-რუსულ კონსტიტუციას მაშინ, როდესაც ეს პოლიტიკური ფორმა უკვე „მოგონილიც“ იყო და გამოცდილიც დასავლეთ ევროპაში. მათი სოციალური მისწრაფებანი ვერ გამოიღებდენ ნაყოფს; აქ მხოლოთ მოკლეთ აღენიშნავთ, რომ მათ ერეოდათ პოლიტიკური და ზნეობრივი კანონმდებლობა, რომ კანონისა და ადათის აშკარა და საბოლოო გარჩევა დამონებულ ერს უფრო შესძლებია: მან ეს თავის ზურგზე იცის და ჰგრძნობს.

არა, ბატონებო, ეროვნულ აზრს ყოველთვის ნებიერი ფანტაზია როდი ჰბადებს. ზოგჯერ უცნაური ხმა თუ ახალი სიტყვა კვნესით ამოჰხდება სიკვდილის კარამდე მიყვანილ ერსა! ზოგჯერ მოულოდნელი პასუხი და გაბედული მკლავის გაქნევა ყელში წაჭერილ უბედურებსაც სცოდნიათ! ეს უფლება ჩვენ მუქათათ არ გვრგება!

როდის მოვესწრობით ძმურ თათბირსა საერთო საქმეზე? როდემდის დავჭირდება დაცვა სოციალურ შეგნებისა... „სოციალისტებისაგან?“ როდის შეუდგებიან ჩვენში მომქმედი პარტიები საერთო ნების შესწავლას და უბედურ, გაოხრებულ ქვეყნის სამსახურსა? ეს ეკითხოს მათ გონებას და მათ სინიღისსა!

№-ს

ჩვენის ქვეყნის ყორანო
რა ღმერთი გაგწყრომი;
მაგდენ ფულებს რომ კრეფავ,
თვალი ვერ გაგძლომი?

ბევრის ბევრმა შენს ჰანგზე
დაკრა ბუკი-ნადარა
ჯეელობა გაგვირყვენ
შეგვირცხვინე ქალარა!

შენი კაი კაცობის
დასასრული არ არის,
შენი საქმე და სიტყვა
წარყვნილების ზღვა არის!

წარსულს შენისთანებიც
დიახ ბევრი ჰყოლია
მაგრამ ქვეყნის სურვილსა
წინ ვერვინ დასდგომია!..

შენ შემთხვევამ დაგბადა,
შემთხვევავე გაგაქრობს,
სასტიკი მომავალი
ხსენებასაც მოგისპობს...

რომ გაჰქრები ხომ იცი,
ვით თოვლი შარშანდელი,
ნეტა ერთხელ დაფიქრდე
რათა ხარ საძაგელი?

თბილისელი.

სენა „ორსულთა კანის“ გამო.

I

(ნათლიდები მივიდა ნათლიჯალბთან).

— ნათლიჯალბო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ერთი
შენი ოქროს ძეწკვი ამაღამისთვინ მათხოვე, „ვეჩერში“ ვარ
დაპატიებულნი.

— ინებე, შენი ჰირიბე, ნათლიდებ. (გაღის ერთი
კვირა).

— ნათლიდებ, არ მოვიკითხავდი, მაგრამ ამაღამ ლო-
ტოში ვარ და აბა, ხომ იცი, სულ ვაჭრის ცოლები იქნებიან
— მორთულ-გაპრანჭულები. უძეწკვით ვერ წავალ...

— ნათლიჯალბო, ნათლიჯალბო, შენ კი გენაცვა-
ლე, არ გამიჯავრდე, არ ვიცოდი თუ ასე მალე დაგჭირდებო-
და, ძეწკვი „ლუმბარდში“ დავაგირავე.

— უი, ქაა, ეგ რას მეუბნები, ადამიანო, ვის ნივთს
აგირავებდი, ან რა უყავ ფული?

— ორსულების კასაში ჩვეწყრე, ექვსი თუმავე შევი-
ტანე და თორმეტს თუმანს მომცემენ, ისე რომ ძეწკვსაც და-
ვიხსნი და კაი „მალარჩასაც“ გაბიმართამ ჩემო ნათლიჯა-
ლბო.

(საწყლებმა ის კი აღარ იციან, რომ ორივენი ნათლი-
დებაც და ნათლიჯალბებიც ცარიელზე დარჩებიან).

II

ქარვასლაში.

— ვა, ეს რა უბეაურებაა, კაცო, დიდმარხვის კვირაა
და მოცლა არ უნდა ბეჭონდეს პურის ჰამისთვინაც? გამი-

ღია ღუქანი და პირდადებული შეგცქერი იქნებ ვინმე მუშ-
ტარი შემოვიდეს მეთქი!

— ეჰე... მაშ ბეტყობა მიზეზი არ იქნებოდა? ჩვენი მუშტარი ვინ იყო? სულ საწ-
ყალი ხალხი; რა არის, კიდევ იაფად აქ ყიდულობდნენ!
აიღეს რაც ფული ჰქონდათ და სულ იმ ბასავერანებელ რა-
რალაც „ორსულების კასა“ მოიგონეს, და სულ იქ ჩაყარეს!..

— ჰოდა ებ არის და! ვისაც რა ბააჩნდა სულ იმ
ორსულობის მანეში ჩაყარა! თუ ფული არ ქონდა ნივთი
და უკანასკნელი ქვაბებიც კი დააგირავეს, რა არის ერთი
ორად გაზოვიტანთო, ეხლა კი თვალები დაუდგათ... ჩვენცა
ვზარალობთ და თავიანთ თავიც დაიღუპეს!.. ვინ, არის ენ-
ლა წაგებაში?

— წაგებაში ვინც არის ეს ყველამ ვიცით, მაგრამ მო-
გება და ხელის მოთმობა კი ფარეშოვ და კომპანიას ხვდა!

პეტრუშკა.

განცხადებანი

ქუთაისისათვის

ვაძლევ სესხად ფულს, ცოტა სარგებლით
1000-დამ 2000 მანეთამდის, მხოლოდ არც უნდა
იყოს „ჩინოვნიკი“, არც ვაჭარი, არც ღვდელი,
არც არავითარ პარტიის მომხრე. უნდა იყოს ან
პოლიციამი მოსამსახურე, ან ლამაზი და კობტა
ქალი, რომლების შემწეობითაც ყოველ ავაზაკო-
ბაში ხელ უხლებელი ვიქნები. ადრესი: ბულვარის
პირდაპირ.

—:—

დავკარგე პორტმანი, ორი ფოსტის „კვიტან-
ციით“ და ასი მანეთი ფულით. ვინც მომიტანს
ხუთ მანეთს ვაჩუქებ. ადრესი: კლუბში, რა დრო-
საც გინდათ მნახავი.

—:—

ვციდი ბილეთებს, როგორც წარმოდგენებისას
ისე საქველმოქმედო საღამოებისას, მხოლოდ ან-
გარიშის დროს ათი მანეთიდან ორმოც მანეთამდის
დავაკლებ.

ადრესი: ქუთაისის თეატრის კასა.

—:—


გადავსწყვიტე ცოლის შერთვა, ვისაც უნდა
შემატყობინოს კვირაცხოვლობამდის, თორემ შემდეგ
სამღვარ გარეთ მივდივარ და ყველა ქალები დარ-
ჩებიან მშრალზე. ადრესი: გეგუთის ქუჩა—ბალიანი
სახლი.

—:—

ორი წელიწადია სხვისი ცოლი ჩემთან ცხოვ-
რობს, უცხადებ ქმ რს: დროა წაიყვანოს, თორემ
ნაღდგომევეს მივატოვებ, რადგან საკუთარი მეყო-
ლება.

ადრესი: პოლიციის ქუჩა, საკ. სახლები.

გახანაია.



როგორ იკვებება ბურჟუა?



ჩვეულებრივი ევოლიუცია.

თბილისისათვის

ვიყვან შევირდებს 15—16—17 წლისებისას. პირველ წელიწადს ვასწავლი მთელი ოჯახის მოვლას, დაგვა-დაწმენდას, ყმაწვილების ჩაწვენ-ამოწვენას, გართობას შეშისა წვრილმან ქურდობასა და ტყუილის ლაპარაკს.

მეორე წელიწადს დუქნებში შეძრომას და გამოცარიელებას

მესამე წელიწადს, იარაღით ხელში დაცემასა და ფულების წაგლეჯას.

თუ ამ სახიფათო წლებს მშვიდობით გადურჩა, მეოთხე წელიწადს ფინაზობას, მეჯღანეობას. ყველა ამეების საოსტატოდ ვიღებ ხუთიდან ექვს თუმნამდის.

სახელი ჩემი ვინითა იწყობა, გვარი კი ანითა. აღრესი ჩემი შემდეგ იყოს.

ენოქა.

წერილი რედაქციის მიმართ

პას ხალ ქრისტეფორე გურგენაძეს

ბ. ქრისტეფორე, თქვენს ღია წერილში (გაზეთ „დასაწყისის“ №11) ამბობთ: დიმ. ბიზინეიშვილიდან და მიწო მაჩაბელისაგან „მრავალ-ხელ გამოგონილია სოციალ-ფედერალისტების პარტიის წევრი ვარო“ ჩვეულებრივ ცრუობთ, როცა ამას ამბობთ: არ ყოფილა მაგალითი, რომ როდესმე წამტდენოდეს ვითომც პარტიის წევრი ვყოფილავიყო, თუ ესფერების პრავრამის საფუძვლიანობას ვღვიარებ და მომწონს ფედერაცია და ავტონომია; ამას ეხლაც, საქვეყნო-თაც ვაცხადებ და ვერც თქვენისთანების ქუჩის არმია დამიშ-

ლის. ესფერების პარტიასაც ჯვარი სწერია და მიწო მაჩაბელსაც. ამ თ ჩემი დახმარება არ ესაჭიროებათ. თქვენს წერილს პასუხის ღირსადარ ჩავთვლიდი რომ რაღაც სახელის დარქმევას არ იქაღნებოდეთ; რაც გენებოდას ის დამარქვით ხოლო თქვენს „აფხანიკს“ ნუ მიწოდებთ, რადგან თქვენი „აფხანიკობა“ მართლაც სასირცხვილოდ მიმაჩნია. რაც შეეხება იმას, რომ აუდიტორიით მე და მაჩაბელს ვითომც პირველი კლასის ბუფეტი გაგვეხადოს ეგ პირახეული ტყუილია. სიცრუეა აგრეთვე ვითომც „დამცველებათ დეზიანები გყავთო“ თუმცა თქვენ უკეთ გეცოდინებათ მე დამცველები მჭირია თუ არა, მაგრამ მე ეს არ მჯერა.

რაც შეეხება თქვენი უკეთესი „აფხანიკების“ ფულების გაფლანგვას და სხვა სწორედ არ ვიცი ვიხედ ლაპარაკობთ, მხოლოდ მჯერა და ხშირადაც ვკითხულობდი რაც იწერებოდა გაზეთ „მუშაში“. მჯერა რაც იწერება „ნიშადურის“ ფურცლებზე; მწამს ბ. ხეობელის წერილები, რომელშიაც თქვენისთანების ტიპი და სულის-კვეთება სავესებით არის დასურათ-ხატებული. მჯერა სილოვან ხუნდაძის „მკვლევები და მცველები“. მჯერა პავლე აკობიას ბროშიურების მხილება. მწამს „შრომაში“ „ისარში“ და „ამირანში“ მოთაგსკული წერილების საფუძვლიანობა და ბევრი სხვაცა, ჩემის თვალთ ნახული და ყურით გაგონილი. თქვენებური დიქტატორობა და დესპოტიზმი ვერ წამართმევს რწმენის უფლებას... საკმაოდ ბაგიცანით და ვიწვინეთ თქვენისთანების დემოგობიური ძალად მაცნონობა და თაღლითობა. უკვე საკმარისათ აენადა ფარდა თქვენს „ნაღვაწ-ნაშრომსა“, რისთვისაც ხალხი წყევლა-კრულვით ბისხენიებთ...

რაც შეეხება პირადათ თქვენ ვაჟკაცობას და პატროსნებას, იგი დიანაც ცნობილია მალთაყვის ხიდის მუშებისაგან და სუფსაზედ კიდევ სახალხოთ...

ნეტა მე რა დაბალ ლობეთ მნახეთ, რომ თქვენთან დაცვისათვის „დეზიან შტიკიანები“ მჭიროდეს და ისიც თქვენისთანა კუდაბზიკა რაინდებისაგან, რომელნიც ხალხს ზურგზე ტკიპივით ასხედან და სხვის ოფლით სუქდებიან...

იმედია, ეს ჩემი პასუხი დაგაკმაყოფილებთ.

დომიტრი გიგინეიშვილი.

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.